

საწარმოო პრაქტიკის დებულება

1. ზოგადი დებულებები

1.1 საწარმოო პრაქტიკა პროფესიული განათლების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტების მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. იგი შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები, კიდევ უფრო დახვეწოს და განავითაროს ისინი.

1.2 საწარმოო პრაქტიკის ხანგრძლივობაა ერთი სემესტრი;

1.3 საწარმოო პრაქტიკის პროგრამა (სილაბუსი) მიმართულების მიხედვით ყალიბდება სკოლაში.

2. საწარმოო პრაქტიკის მნიშვნელობა, მიზანი და ამოცანები:

2.1 საწარმოო პრაქტიკის მიზანია პროფესიულ სტუდენტებში განავითაროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ხელი შეუწყოს სამუშაო გარემოში მათ ადაპტაციას.

2.2 საწარმოო პრაქტიკის განხორციელებაში ჩართულია სამი მხარე: ტურიზმის აკადემია, პროფესიული სტუდენტი და დამსაქმებელი, ამდენად იგი სამივე მხარისათვის მნიშვნელოვანია.

მნიშვნელობა პროფესიული სტუდენტისათვის:

- განათლებისა და თეორიის დაკავშირება რეალურ სამყაროსთან,
- სამუშაო გარემოში ჩართვა, საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება,
- სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გავარჯიშება და ახალი კომპეტენციების გამომუშავება,
- მომავალი კარიერის მიზნების დასახვა.

მნიშვნელობა ტურიზმის აკადემიისთვის:

- კონტაქტების შენარჩუნება შრომის ბაზართან და საგანმანათლებლო პროგრამის განახლება საზოგადოების სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად,
- პოტენციური სფეროების განსაზღვრა,
- კურსდამთავრებულთა დასაქმების ამაღლება.

მნიშვნელობა საწარმოს/ორგანიზაციისათვის

- ახალი იდეების მიღება მოტივირებული პროფესიული სტუდენტებისაგან,
- უკეთ მომზადებული და მოტივირებული სამუშაო ძალა,
- კარგი საზოგადოებრივი ურთიერთობები,
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში კორექტივების შეტანის შესაძლებლობა.

2.3 საწარმოო პრაქტიკის მაღალორგანიზებულად წარმართვის მიზნით, ტურიზმის აკადემიის ამოცანებია:

- ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმება პროფილურ საწარმოებთან/ორგანიზაციებთან,
- პროფესიულ სტუდენტთა განაწილება საწარმოებში/ორგანიზაციებში მათი სურვილისა და სპეციალობის შესაბამისად,
- პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის წარმართვა წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული საწარმოო პრაქტიკის პროგრამის (სილაბუსის) მიხედვით,
- საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პროცესში ნებისმიერი ინიციატივის მხარდაჭერა, რომელიც მიმართული იქნება პროფესიული სტუდენტების პროფესიულ დახელოვნებასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებისაკენ.

3. ტერმინთა განმარტება

3.1 საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი - ტურიზმის აკადემიის წარმომადგენელი, რომელიც შეიმუშავებს საწარმოო პრაქტიკის პროგრამას (სილაბუსს), ამზადებს პროფესიულ სტუდენტებს ამ გეგმის შესაბამისად, ეხმარება მათ საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის დაცვისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოგროვებაში, რაც აგრეთვე მოიცავს საწარმოო პრაქტიკის ადგილზე პროფესიულ სტუდენტებთან ვიზიტებს.

3.2 სწავლის შედეგი - სწავლის შედეგები არის განაცხადი პროფესიული სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და ან რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდეგ.

3.3 კომპეტენციები - ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაციაა, რომლებიც პროფესიულ სტუდენტს გამოუმუშავდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა კურსის (მათ შორის საწარმოო პრაქტიკის) ათვისების შედეგად.

3.4 საწარმოო პრაქტიკა - პროფესიული პროცესის ნაწილი ტურიზმის აკადემიის ფარგლებს გარეთ, რომლის სწავლის შედეგებიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ინტეგრალურ ნაწილს.

3.5 საწარმოო პრაქტიკის ობიექტი - საწარმო/ორგანიზაცია, მიუხედავად ორგანიზაციული ფორმისა, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოო პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობას.

3.6 მენტორი - პირი, რომელიც დანიშნულია საწარმოს მხრიდან და პასუხისმგებელია საწარმოში პროფესიულ სტუდენტთა ზედამხედველობაზე.

4. საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ძირითადი პრინციპები

4.1. საწარმოო პრაქტიკის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ტურიზმის აკადემიასა და საწარმოო პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გამონაკლისი შემთხვევების გარდა.

გამონაკლისი შემთხვევები:

- თუკი პროფესიული სტუდენტი თავად ირჩევს საწარმოო პრაქტიკის ობიექტს, კონკრეტულ ორგანიზაციასთან პირადი შეთანხმების საფუძველზე, ამ ორგანიზაციის

ხელმძღვანელი უგზავნის ტურიზმის აკადემიის რექტორს წერილობით მიმართვას, რომელშიც ადასტურებს პროფესიული სტუდენტისათვის საწარმოო პრაქტიკის გავლის უზრუნველსაყოფად შესაბამისი პირობების შექმნისათვის მზადყოფნას (მენტორის გამოყოფა, ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შექმნა). თავის მხრივ ტურიზმის აკადემია ვალდებულია იღებს გამოყოს ამ პროფესიული სტუდენტისათვის საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი.

- თუკი პროფესიული სტუდენტი უკვე დასაქმებულია თავისი პროფილის შესაბამისად, ან გავლილი აქვს სტაჟირება რომელიმე ორგანიზაციაში, ტურიზმის აკადემიის წერილობითი თხოვნით მიმართავს დამსაქმებელს, საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელთან ერთად დაეხმაროს პროფესიულ სტუდენტს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში და საწარმოო პრაქტიკის დაცვისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის მოგროვებაში.

4.2 საწარმოო პრაქტიკის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- უზრუნველყოფს შესაბამის გარემოს დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად,
- ეხმარება პროფესიულ სტუდენტებს საწარმოო პრაქტიკის ადგილზე,
- უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს,
- მონაწილეობას ღებულობს პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესში.

4.3 საწარმოო პრაქტიკის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტებს უტარდებათ თეორიული მეცადინეობები, ჯგუფური მუშაობა და პრაქტიკული მეცადინეობები. თეორიული მეცადინეობები შეიძლება მოიცავდეს პრეზენტაციებს, ექსკურსიებს, შეხვედრებს და საუბრებს და ა.შ. ჯგუფურ მუშაობაზე პროფესიული სტუდენტები წარმოადგენენ შესრულებულ დავალებებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება პრაქტიკულ მეცადინეობებზე, რომელთა განმავლობაში თვითონ, დამოუკიდებლად შეასრულებენ სხვადასხვა პროფესიულ დავალებებს.

საწარმოო პრაქტიკის ობიექტში გასვლამდე საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი პროფესიულ სტუდენტებს აწვდის შესაბამის საწყის ინფორმაციას:

- უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის ნორმების შესახებ,
- მისაღწევი სწავლის შედეგების/კომპეტენციების შესახებ,
- პრაქტიკის ვადებისა და კონკრეტული გრაფიკის შესახებ,
- დღიურის წარმოების წესისა და ანგარიშის მომზადების შესახებ,
- საწარმოო პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

4.4 პროფესიული სტუდენტების მიერ საწარმოო პრაქტიკის სრულყოფილად გავლაზე კონტროლს ახორციელებს საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

4.5 პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ტურიზმის აკადემიაში დაბრუნების შემდეგ საწარმოო პრაქტიკის დაცვისათვის წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ✓ საწარმოო პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტი საწარმოო პრაქტიკაზე მიღებისა და ხელმძღვანელის გამოყოფის შესახებ;
- ✓ დახასიათება მენტორისაგან, (ხელმოწერით და საწარმოო პრაქტიკის ობიექტის ბეჭდით დამოწმებული);
- ✓ საწარმოო პრაქტიკის დღიური (დანართი 1);
- ✓ საწარმოო პრაქტიკის ანგარიში;

✓ საწარმოო პრაქტიკის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისი დოკუმენტური მასალები;
ჩამოთვლილი სავალდებულო დოკუმენტაციის არასრულფასოვნად წარმოდგენა იქნება პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის დაცვაზე არდაშვების საფუძველი.

5. საწარმოო პრაქტიკის პროგრამა

5.1 საწარმოო პრაქტიკის პროგრამას წარმოადგენს საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი მიმართულების მიხედვით. პროგრამა შესათანხმებლად წარედგინება ტურიზმის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომლის ვიზირების შემდეგ მას ამტკიცებს რექტორი ბრძანებით და აისახება კურიკულუმში;

5.2 საწარმოო პრაქტიკის პროგრამა (სილაბუსი) უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- პროგრამის დასახელება,
- სემესტრი,
- კრედიტი,
- საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ვადები,
- საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელისა და მენტორის მონაცემები,
- საწარმოო პრაქტიკის მიზნები,
- მისაღწევი სწავლის შედეგები: დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები,
- საწარმოო პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები

6. საწარმოო პრაქტიკის დღიურის წარმოების წესი

6.1 საწარმოო პრაქტიკის მანძილზე პროფესიულმა სტუდენტმა უნდა აწარმოოს ყოველდღიური აქტივობების აღწერა ტურიზმის აკადემიის მიერ შემუშავებულ დღიურში რაც მას დაეხმარება საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის მომზადებაში.

6.2 საწარმოო პრაქტიკის დღიური ითვალისწინებს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების კალენდარული გეგმის წარმოებას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოების დეტალურ აღწერას და აგრეთვე კომპეტენციების განვითარების ცხრილს, სადაც პროფესიული სტუდენტი თავისი შეხედულებისამებრ შეიტანს ჩანაწერებს იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელი კომპეტენციების განვითარებაში დაეხმარა მას საწარმოო პრაქტიკის დროს შესრულებული ესა თუ ის სამუშაო.

7. პროფესიული სტუდენტის დახასიათება მენტორისაგან

7.1 საწარმოო პრაქტიკის დასრულების შემდეგ მენტორი თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე ადგენს დახასიათებას, რომელშიც აღწერილია პროფესიული სტუდენტის მიერ საწარმოო პრაქტიკის პროცესში გამოვლენილი უნარ-ჩვევები, გარდა ამისა, დახასიათებაში სასურველია იმ კომპეტენციების ჩამოთვლა, რომლებიც, მენტორის აზრით, პროფესიულ სტუდენტს ჯერ კიდევ სათანადოდ არა აქვს ჩამოყალიბებული.

7.2 დახასიათება დამოწმებული უნდა იყოს მენტორის ხელმოწერით და საწარმოო პრაქტიკის ობიექტის ბეჭდით.

8. საწარმოო პრაქტიკის ანგარიში

8.1 საწარმოო პრაქტიკის დამთავრების შემდეგ, პროფესიული სტუდენტები ადგენენ საწარმოო პრაქტიკის ანგარიშს და წარადგენენ მას კომისიის წინაშე დაცვის მიზნით. საწარმოო პრაქტიკის ანგარიში უნდა შეიცავდეს ყველა იმ საკითხის მოკლე მიმოხილვას, რომელიც შეისწავლა და შეასრულა პროფესიულმა სტუდენტმა პრაქტიკის განმავლობაში. ანგარიშს თან უნდა დაერთოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც შეეხება საწარმოო პრაქტიკის ობიექტის საქმიანობას, ასახავს პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შინაარსს და რომლებიც შეავსო და შეისწავლა პროფესიულმა სტუდენტმა.

8.2 საწარმოო პრაქტიკის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი თანმიმდევრობით:

თავფურცელი

- საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება,
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტის დასახელება,
- საწარმოო პრაქტიკის ვადები,
- პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი,
- საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელის სახელი და გვარი,
- მენტორის სახელი და გვარი.

რეზიუმე

- საწარმოო პრაქტიკის დღიური
- საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის ერთგვერდიანი შეჯამება.

სარჩევი

საწარმოო პრაქტიკის ობიექტის აღწერა

- საწარმოს/ორგანიზაციის სრული დასახელება, მისამართი და მოკლე ისტორია,
- საწარმოს/ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საკუთრების ფორმა,
- სფერო, რომელშიც ფუნქციონირებს საწარმო/ორგანიზაცია, წარმოებული პროდუქცია ან/და მომსახურეობა და ძირითადი მომხმარებლები,
- საწარმოს/ორგანიზაციის მართვის სტრუქტურა (სქემა).

პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი - ანგარიშის ძირითადი ნაწილია. მასში უნდა აისახოს განხორციელებული საქმიანობა და ამ პროცესში დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის გზები. პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს:

- რა ტიპის ფუნქციებს ასრულებდით საწარმოო პრაქტიკის დროს?
 - საწარმოო პრაქტიკის პროგრამით დაგეგმილი (ან დაუგეგმავი) რომელი უნარები შეიძინეთ ან/და განივითარეთ პრაქტიკის პროცესში?
 - რამდენად შეესაბამებოდა საწარმოო პრაქტიკის დროს თქვენ მიერ განხორციელებული საქმიანობა თქვენ მიერ მანამდე, სწავლის პროცესში გამომუშავებულ კომპეტენციებს? აქ პროფესიულმა სტუდენტმა სასურველია დაასახელოს აგრეთვე ის სირთულეებიც, (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რომელთაც წააწყდა საწარმოო პრაქტიკის პროცესში ტურიზმის აკადემიის სასწავლო პროგრამაში არსებული ხარვეზების გამო. პროფესიული სტუდენტების მიერ დასაბუთებულ კომენტარებს ტურ გაიზომის აკადემია გაითვალისწინებს შემდგომში კურიკულუმის სრულყოფის მიზნით.
- დასკვნები

დანართი

- საწარმოო პრაქტიკის განმავლობაში მოპოვებული და დამუშავებული მასალები (დებულებები, კანონები, ბრძანებები, ბუღალტრული და საფინანსო დოკუმენტაცია, გაანგარიშებები და ა.შ.);

8.3 საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის ტექსტი უნდა შესრულდეს თაბახის (A4) ფურცლებზე, შრიფტი Sylfaen, ზომა 12, ინტერვალი 1,5; დაშორება ზემოდან, ქვემოდან და მარცხნიდან 2,5, მარჯვნიდან 1,5. ანგარიშის შედგენისათვის პროფესიულ სტუდენტს ეძლევა 1 კვირა საწარმოო პრაქტიკის დამთავრების შემდეგ.

9. საწარმოო პრაქტიკის დაცვა /პრეზენტაცია

9.1 სრულყოფილი საწარმოო პრაქტიკის ანგარიშით პროფესიული სტუდენტი წარდგება საწარმოო პრაქტიკის დაცვის კომისიის წინაშე. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება სპეციალური ბრძანებით, იმ პირობით, რომ მასში აუცილებლად შევა საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი ტურიზმის აკადემიიდან და საწარმოო პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი.

9.2 საწარმოო პრაქტიკის დაცვაზე პროფესიულ სტუდენტის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს როგორც მის თეორიულ ცოდნას, ისე პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

9.3 დაცული საწარმოო პრაქტიკის ანგარიშები ექვემდებარება შენახვას 2 წლის განმავლობაში.

9.4 საწარმოო პრაქტიკის შეუსრულებლობისათვის და დადებითი შეფასების ვერ მიღების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი განმეორებით იგზავნება საწარმოო პრაქტიკაზე.

10. საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის შეფასება

10.1 საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის შეფასება ხდება ქულათა სისტემით. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა.

10.2 ქულათა გადანაწილება კომპონენტების მიხედვით:

თავფურცელი და რეზიუმე - 10 ქულა

- გაფორმებულია შესაბამისად;
- რეზიუმე სრულად ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს.

საწარმოს/ორგანიზაციის აღწერა - 30 ქულა

- ქმნის მკაფიო წარმოდგენას საწარმოზე.

საწარმოო პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი - 30 ქულა

- განხორციელებული საქმიანობა შეესაბამება საწარმოო პრაქტიკის მიზნებს,
- შესაბამისი მაგალითების მოშველიებით აფიქსირებს მიღწეულ შედეგებს,
- კომპეტენციების განვითარება შეფასებულია კრიტიკულად.

დასკვნები და რეკომენდაციები - 10 ქულა

- არგუმენტირებულია.

დანართი - 10 ქულა

- რელევანტურია,
 - ნათლადაა გადმოცემული.
- პრეზენტაცია - 10 ქულა

მსჯელობა თანმიმდევრული, ლოგიკური და არგუმენტირებულია.